



კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის სამართლის სკოლა



საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	
	სამართლი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	
	Law
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	
	ბაკალავრიატი
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	
	რეგულირებადი
სწავლების ენა	
	ქართული (ინგლისურენოვანი კომპონენტებით)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
ქართულად:	სამართლის ბაკალავრი (0421)
ინგლისურად:	Bachelor of Law (0421)
პროგრამის დამტკიცების თარიღი	07.08.2009
პროგრამის განახლების თარიღი	28.04.2022 (ბრძ. N01/01-18); 23.12.2022 (ბრძ. 01/01-71); 23.12.2022 (ბრძ N01/01-71); 30.06.2023, (ბრძ. 01/01-25); 12.07.2024 (ბრძ. N01/01-39)
პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი	ლევან მოსახლიშვილი, სამართლის დოქტორი, ავტორიტეტული ასოცირებული პროფესორი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	
<p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 240 ECTS კრედიტს. წელიწადში – 60 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 აკადემიურ წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 20 სასწავლო კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ საათებს).</p> <p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 4 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.</p> <p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 ECTS კრედიტი გადანაწილებულია შემდეგნაირად:</p> <ul style="list-style-type: none"> • ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 164 ECTS კრედიტი; • ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 36 ECTS კრედიტი; • პრაქტიკული უნარების განვითარებაზე მიმართული კომპონენტი - 6 ECTS კრედიტი; • თავისუფალი კომპონენტი - 34 ECTS კრედიტი (25 ECTS კრედიტი ეთმობა უცხო ენების (ინგლისური ენა) მოდულს, ხოლო 9 ECTS კრედიტი - არასპეციალობის სასწავლო კურსებს). 	
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
<p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგად განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.</p> <p>ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.</p> <p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.</p> <p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.</p> <p>პროგრამაზე სწავლის მსურველმა ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჩააბაროს ერთ-ერთი უცხო ენა: ინგლისური ენა, ან რუსული ენა, ან ფრანგული ენა, ან გერმანული ენა.</p>	

საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

<p>საბაკალავრო პროგრამის მიზანი</p>	<p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფართო თეორიული ცოდნა ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების, ქართულის სამართლის წყაროების, ზოგადსამართლებრივი პრინციპების, ფასეულობებისა და ღირებულებების, აგრეთვე ეროვნული და უცხოური სამეცნიერო აზრისა და კანონმდებლობის შესახებ; • სიღრმისეული ცოდნა საჯარო, კერძო, საერთაშორისო და სისხლის სამართლის დარგებში. <p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიქცევის, აგრეთვე კომუნიკაციის, ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი; • სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები; • სამართლის სფეროში სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები; • პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი ღირებულებების დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი; • სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უნარი. • თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრებისა და სამართლის კომპლექსური საკითხების გაცნობიერების უნარი; • ქართულ და უცხო (ინგლისურ) ენაზე ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირი და წერილობითი ფორმით გადაცემის უნარი; • თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმებითად გამოყენების უნარი; • პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღებისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი;
<p>პროგრამის სწავლის შედეგები</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:</p> <p>ა. აღწერს სამართლებრივ სისტემებსა და ძირითად პრინციპებს, სასწავლო კურსების ძირითად თეორიებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, სამართლის ნორმათა კლასიფიკაციას, ეროვნული სამართლის სისტემას და იერარქიულ ლოგიკას, მათ შორის ეროვნული და საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმართების ასპექტებს, კერძო, სისხლის, საჯარო, საერთაშორისო სამართლის სისტემებს, ცნებებს, ფუნდამენტურ პრინციპებსა და რეგულირების თავისებურებებს, სამართალწარმოების საკითხებს, სამოსამართლო სამართლის როლს სამართლის განვითარების დინამიკაში, კანონშემოქმედებით პროცესს.</p> <p>ბ. აღწერს სახელმწიფო მოწყობის პრინციპებს, კონსტიტუციური სუბიექტებისა და ორგანოების არჩევნების ან/და ფუნქციონირების თავისებურებებს, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველყოფის, ამავედროულად, შეზღუდვის სამართლებრივ პრინციპებს და ინსტრუმენტებს.</p> <p>გ. განსაზღვრავს სამართლის/ნორმის გამოყენების, მოთხოვნის საფუძვლების შემოწმების საკითხებს სამართლებრივი კონფლიქტების გადაჭრის მიზნით, განსაზღვრავს სამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზებს, მახასიათებლებსა და მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს.</p> <p>უნარი</p> <p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ</p>

	<p>სტუდენტი:</p> <p>დ. ამოიცნოს სხვადასხვა ხასიათის სამართლებრივ პრობლემებს (ხარვეზული საკანონმდებლო რეგულირების, კანონების პრაქტიკაში გამოყენებისა და გადაწყვეტილებათა აღსრულების სირთულის, და სხვ.) სამართლის სხვადასხვა სფეროში, კრიტიკული გააზრებითა და მრავალმხრივი/კომპლექსური ხედვის საფუძველზე აფასებს პრობლემებს და შეიმუშავებს მათი მოგვარების გზებს.</p> <p>ე. მოიძიებს და იდენტიფიცირებს ახდენს იმ ინფორმაციის (ქართულ ან უცხო ენებზე), ნორმატიული საფუძვლების, ეროვნული ან საერთაშორისო წყაროების და სასამართლო გადაწყვეტილებების, რომელთა გამოყენება კონკრეტული იურიდიული კონფლიქტური შემთხვევების ან/და სამართლებრივი დავების გადაწყვეტის მიზნით არსებითად მნიშვნელოვანი და მომგებიანია, სწავლობს და აანალიზებს იურიდიულ დოკუმენტაციას, გეგმავს კონფლიქტების/დავების გადაწყვეტის პროცესს (სასამართლო და არასამართლო), ამზადებს სამართლებრივ/საპროცესო დოკუმენტებს და პრაქტიკული ბუნების პროექტებს, შეიმუშავებს დასაბუთებულ პოზიციებს და საბოლოოდ ეთიკური ნორმების დაცვითა და წინასწარ შემუშავებული სტრატეგიით ახორციელებს პროფესიულ/იურიდიულ/საკონსულტაციო მოქმედებებს.</p> <p>ვ. არგუმენტირებულად და გამართული იურიდიული ენით მსჯელობს და უზიარებს მოსაზრებებს, ხედვებს, რეკომენდაციებს შესაბამის აუდიტორიას კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის (ზეპირი, წერილობითი) და საინფორმაციო-ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, შეუძლია საკუთარი აზრის სისწორეში სხვათა დარწმუნება და გატანა, ამავდროულად უსმენს სხვათა არგუმენტებს და შეუძლია გუნდური მუშაობის პრინციპით ჩართოს საერთო ხედვის ჩამოაყალიბებაში, ნებისმიერ პირთა კომუნიკაციასა და საქმიანობის ფორმატში იყენებს ქვეყნის კულტურას, რომელიც ვითარების შესაბამისია და ეთიკის ნორმების ფარგლებშია.</p> <p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:</p> <p>ზ. ავლენს თვითგანვითარების, ცოდნის განახლების, სამართლებრივი/საკანონმდებლო სიახლეების მიდევნების უნარს, დამოუკიდებლად, ამავდროულად, სხვებთან თანამშრომლობით წარმართავს განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას და ადგენს შემდგომი სწავლის საჭიროებებს.</p> <p>თ. ცნობს, აღიარებს და იცავს ადამიანის უფლებების უზენაესობას, სამართალწარმოებისა და პროცედურული სამართლის ნორმების პრინციპებს, პროფესიული საქმიანობის ეთიკური ღირებულებებით განხორციელების მნიშვნელობას.</p>
დასაქმების სფეროები	<p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც არ მოითხოვება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ან/და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.</p> <p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული იურიდიული პრაქტიკის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:</p> <ul style="list-style-type: none"> • საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში; • სასამართლო ორგანოებში; • სამართალდამცავ და სხვა მაკონტროლებელ ორგანოებში; • კორპორაციულ სტრუქტურებში; • საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ან/და არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	<p>სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა (მოსამართლე, პროკურორი, ადვოკატი) და მკვლევარის მომზადებაზე.</p>

**სტუდენტის ცოდნის შეფასების
სისტემა**

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასების სისტემის შესაბამისად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერილი გამოცდა, ზეპირი/წერილი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ.). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

იტაპის სტუდენტისათვის განსაზღვრულია შემდეგი შეფასების სისტემა:

შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტური და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა.

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია 51%-იანი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე

ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 51%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 51%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

II, III, IV სტუდენტისათვის განსაზღვრულია შემდეგი შეფასების სისტემა:

შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტური და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა.

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რომლებიც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება.

სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კონკრეტული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლა-სწავლების მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზეც. სწავლა-სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსის

სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლა-სწავლების მეთოდები ხელს უწყობს არა მხოლოდ კონკრეტული მასალის ათვისებას, არამედ ზოგადი/დარგობრივი უნარების განვითარებასაც.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოიყენებოდეს სწავლა-სწავლების ისეთი ფორმები, როგორებიცაა: ლექცია; სამუშაო ჯგუფში მუშაობა; სემინარი; კლინიკა; ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვა.

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამისას გამოიყენება სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდები და აქტივობები:

ახსნა-განმარტება - გულისხმობს კონკრეტულ საკითხის განმარტებას და დეტალურ განხილვას; ახსნა-განმარტება ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

შემთხვევის ანალიზი - მიეკუთვნება სწავლების იმ ინტერაქტიულ მეთოდთა რიცხვს, რომლებიც სტუდენტებს რეფლექსური და გადაწყვეტილების მიღებისკენ ორიენტირებული ქცევისთვის განაწყოებს. მისი მიზანია, განუვითაროს სტუდენტს ანალიტიკური, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნება და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ეს მეთოდი პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდთა რიცხვს მიეკუთვნება. ასეთი ტიპის სწავლების დროს სტუდენტები კონკრეტული შემთხვევის ყოველმხრივ განხილვას, ანალიზს, შემთხვევის ცალკეულ ასპექტებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს ადგენენ;

დისკუსია/დებატები - გულისხმობს ინტერაქტიულ სწავლებას, რომელიც მიმართულია საკუთარი აზრის მკაფიოდ, ლოგიკურად და დასაბუთებულად გადმოცემის და სხვისი მოსაზრების ოპონირების უნარის ჩამოყალიბება-განვითარებაზე; დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამძლავებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი სტუდენტს უვითარებს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

გონებრივი იერიში - გულისხმობს კონკრეტულ საკითხთან/პრობლემასთან და მის გადაჭრასთან დაკავშირებით აზრის, იდეის ჩამოყალიბებას, ახსნას და დასაბუთებას;

ეს მეთოდი სტუდენტებს საშუალება აძლევს, მონაწილეობა მიიღონ ჯგუფის მუშაობაში, შემოქმედებითად მიუდგნენ საკითხს, თავისუფლად გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, იდეები წამოყენებულ საკითხთან ან პრობლემასთან დაკავშირებით.

„გონებრივი იერიშის“ მეთოდის გამოყენების წესები:

ა) მოსაზრებათა გამოთქმის პროცესში თავიდან აცილება ხდება შეფასებითი გამონათქვამების (ლექტორის მიერ პასუხების შეფასების შემთხვევაში მონაწილეები თავს შეიკავებენ ახალი იდეების გამოთქმისაგან);

ბ) ამ მეთოდით შესაძლებელი ხდება რაც შეიძლება მეტი პასუხის მიღება (აზრის გამოთქმისაგან თავის შეკავება იმის მაჩვენებელია, რომ მონაწილეები ანალიზებენ პასუხს და შიშობენ, მათი აზრი სულელურად არ იქნეს აღქმული. ბევრი მოსაზრების არსებობის შემთხვევაში კი მონაწილეები თავისუფლად და ყოველგვარი კომპლექსის გარეშე გამოთქვამენ ახალ იდეებს), რაც ხელს უწყობს აუდიტორიის ჩართულობის გაზრდას;

დემონსტრირება- ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვებმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

ლოგიკური ჯაჭვი (მოსაზრება, მიზეზი, მაგალითი, შეჯამება) - ლოგიკური ჯაჭვის მეთოდი გამოიყენება დისკუსიის ან პრობლემებზე მსჯელობისას, როცა არსებობს განსხვავებული პოზიციები. ეს მეთოდი ხელს უწყობს მონაწილეებს მიეჩვიონ მოსაზრებათა არგუმენტირებას და მათ მოკლედ, ლაკონურად წარმოაჩინას.

ჯგუფებში მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობს მსჯელობის, დისკუსიების გაძლიერების, კრიტიკული აზროვნებისა და სხვათა დარწმუნების უნარის განვითარებას.

მუშაობა მცირე ჯგუფებში - მცირე ჯგუფებში მუშაობა საკმაოდ ცნობილი მეთოდია, რომელიც სტუდენტებს აძლევს საშუალებას, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ჯგუფის მუშაობასა და საერთო აზრის ჩამოყალიბებაში, ისწავლონ ერთმანეთის მოსმენა, თანამშრომლობა და ურთიერთშეთანხმება. მცირე ჯგუფებში მუშაობისას მორცხვ მონაწილეებსაც კი უადვილდებათ აზრის გამოხატვა. ამ მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია იმ პრობლემის გადასაჭრელად, რომლის გადაწყვეტაც დამოუკიდებლად ვერ ხერხდება.

მოზაიკა- ეს მეთოდი საშუალებას აძლევს სტუდენტებს დროის მცირე მონაკვეთში მიიღონ დიდი მოცულობის ინფორმაცია და, გარკვეული თვალსაზრისით, წარმატებით ცვლის ცოდნის გადაცემის სალექციო ფორმას. ამ მეთოდის საშუალებით მონაწილეები ასწავლიან ერთმანეთს. ურთიერთსწავლება _ ეს ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა საგნის შესახებ ინფორმაციის მიღების და ისეთი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენებისა, როგორიცაა რთული მასალის ახსნა, შეკითხვების დასმა, მოსმენა, ურთიერთობა და სხვა.

პრობლემის გადაჭრა - ამ მეთოდით სწავლების შედეგად სტუდენტებს ეცოდინებათ, რა სისტემა გამოიყენება სამართლებრივი პრობლემის გადასაჭრელად. სწავლების ეს მეთოდიკა ავითარებს ისეთ უნარ-ჩვევებს, როგორცაა: მოსმენის კულტურა, იდეების გაცვლა და სხვა პირთა უფლებების პატივისცემა.

სადისკუსიო პრობლემების/თემების განხილვა - ეს მეთოდი უზრუნველყოფს სტუდენტთა ისეთ ურთიერთობას, რომელიც გულისხმობს აზრებისა და იდეების გაცვლას მასწავლებლის ჩაურევლად და მისი კონტროლის გარეშე. აღნიშნული მეთოდის საშუალებით მონაწილეებს უვითარდებათ ლოგიკური აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. მოცემული სავარჯიშო საშუალებას აძლევს მათ, გაიაზრონ პრობლემის არსი და დაამყარონ ერთმანეთთან კავშირი.

დაიკავეთ პოზიცია - მოცემული მეთოდი გამოიყენება სადისკუსიო თემის განხილვის დროს. სადისკუსიო პრობლემა გულისხმობს კანონიერი საფუძვლის მქონე ორ ან მეტ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებას, რომელზეც არ არსებობს ზუსტი პასუხი. ეს მეთოდი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სავარჯიშოს სახით ლექციის დასაწყისში, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, გამოთქვან საკუთარი აზრი შესასწავლ თემასთან დაკავშირებით და პრაქტიკაში გამოიყენონ ახალი უნარ-ჩვევები.

წიგნზე მუშაობის მეთოდი - ამ დროს ხდება ფაქტებზე დაყრდნობით კონკრეტული შედეგების მიღწევა. ეს ძირითადად კრიტიკული აზროვნებაა;

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი - ამ აქტივობას მიეკუთვნება თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ;

თავისუფალი დისკუსია - თავისუფალი დისკუსიის მიზანია, შექმნას ისეთი გარემო, სადაც სტუდენტი მიეჩვევა საკუთარი აზრის არგუმენტირებულ და გამართულ ფორმულირებას. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, სტუდენტი მივაჩვიოთ კრიტიკული აზროვნების ძირითად პრინციპებს. თავისუფალი დისკუსიის დროს ლექტორი ქმნის ე. წ. მართვადი ქაოსის ვითარებას და ცდილობს, სტუდენტებმა, კონკრეტულ წესებზე შეთანხმების გზით, თავად მოახერხონ ვითარების დარეგულირება.

მიმართულებითი დისკუსია - სწავლების მეთოდი, რომლის დროსაც ჯგუფი განიხილავს ერთ კონკრეტულ საკითხს, ლექტორი კი, (შეკითხვების, რეპლიკებისა და თეზისების ფორმულირებით) უზრუნველყოფს დისკუსიის იმ მიმართულებით წაყვანას, რაც კონკრეტული საკითხის საფუძვლიანი შესწავლის ინსპირირებისთვისაა საჭირო. მიმართულებითი დისკუსია ერთგვარი სტიმულია, რომ სტუდენტი დაინტერესდეს საკითხის სიღრმისეული ანალიზით და მისი შესწავლა დაიწყოს.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

ევრისტიკული მეთოდი - ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.

- სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- სინთეზის მეთოდი გულისხმობს შეზრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება - მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

წერიტი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

გონებრივი განტოტვა - ხელს უწყობს პრობლემების იდენტიფიკაციას, მათ შორის იერარქიული დამოკიდებულების დადგენას, ჭეშმარიტი და ფსევდოპრობლემების ერთმანეთისგან გამოყოფას; იმის გააზრებას, თუ რა არის შესაცვლელი არსებულ ვითარებაში და რის გაკეთება შეიძლება რეალურად;

გამოცდილებითი სწავლება იგივე კეთებით სწავლება - პრაქტიკული სტრატეგიაა. ამ სტრატეგიის გამოყენების დროს

ხდება ზუსტი ინფორმაციის მიწოდება ექსპერიმენტის ან სიმულაციისთვის. იგი მიზნად ისახავს, რომ ბაკალავრებმა შეასრულონ ისეთი ქმედებები, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის ან ჩვევის ფორმირებას. კეთებით სწავლა ეხმარება სტუდენტს აქტიურად ჩაერთოს სასწავლო პროცესში, თავად იყოს მისი მონაწილე, მიიღოს ახალი ცოდნა;

თანამონაწილეობითი სწავლების მეთოდი - უზრუნველყოფს სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სწავლის პროცესში და კონსტრუქტივისტული მიდგომის ძირითად პრინციპს წარმოადგენს. ამ თეორიის მიხედვით, სტუდენტი სწავლის პროცესის აქტიური მონაწილეა და არა — ინფორმაციის პასიური მიმღები. ცოდნის მიღებაში კი იგულისხმება ამ ცოდნის კონსტრუირება-აგება სტუდენტის აქტიური თანამონაწილეობით. ბაკალავრი უკეთ ითვისებს მაშინ, როდესაც ის ახდენს საკუთარი ცოდნის კონსტრუირებას და საკუთარი გამოცდილების მეშვეობით წყვეტს საკითხს, დავალებას.

ანგარიშის შედგენა - წინა სალექციო მასალის, დისკუსიის, დებატების რეზიუმე და წერილობითი ფორმით ჩაბარება-წარმოდგენა და ა.შ.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია კვალიფიცირებული ადამიანური რესურსით:

აფილირებული:

- პროფესორი 7
- ასოცირებული პროფესორი 11
- ასისტენტ-პროფესორი 3

აკადემიური პერსონალი

- პროფესორი 4
- ასოცირებული პროფესორი 5
- ასისტენტ-პროფესორი 3

მოწვეული პერსონალი:

- 43 მოწვეული ლექტორი

საბაკალავრო პროგრამის სხვა რესურსები

კავკასიის სამართლის სკოლა არის რამდენიმე საერთაშორისო სამართლებრივი ორგანიზაციების წევრი, დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, აგრეთვე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტს საშუალება ეძლევა შესაბამისი სასწავლო კურსები გაიაროს კავკასიის უნივერსიტეტის პარტნიორ უნივერსიტეტში (გავლილი სასწავლო კურსის და კრედიტის აღიარების საკითხი გადაწყდება კანონმდებლობით და ასევე, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით);

საერთაშორისო ორგანიზაციების რესურსები:

- ევროპის იურიდიული ფაკულტეტების ასოციაცია (ELFA);
- საჯარო სამართლის საერთაშორისო ორგანიზაცია (EPLI);

პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლების რესურსები:

- ემორის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა (ატლანტა, აშშ);
- ჩესტერის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა (დიდი ბრიტანეთი);
- მადრიდის კარლოს III სახელობის უნივერსიტეტი (ესპანეთი);
- ზაარლანდის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (გერმანია);
- ლუბლიანას უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი (სლოვენია);
- ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სამართლის სკოლა (ესტონეთი);
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო);
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო);
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო);
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი (საქართველო).

სამთავრობო დაწესებულებები:

- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
- საქართველოს მთავარი პროკურატურა;
- საქართველოს უზენაესი სასამართლო;
- თბილისის საქალაქო სასამართლო;
- თბილისის სააპელაციო სასამართლო;
- ქ. თბილისის მერია;

- ქ. თბილისის საკრებულო;
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია;
- საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი;
- ნოტარიუსთა პალატა;
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია;
- საჯარო რეესტრი;
- ექსპერტიზის ეროვნული ბიურო;
- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო;
- აღსრულების ეროვნული ბიურო.

კლინიკები:

თბილისი:

1. საქართველოს ნოტარიუსთა პალატა
2. ცესკო
3. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
4. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო
5. საადვოკატო ბიურო BBK
6. საადვოკატო ბიურო LBC
7. იურიდიული დახმარების სამსახური

აჭარა:

1. საადვოკატო ბიურო „მარკოიძე, პაპიძე და პარტნიორები“
2. საადვოკატო ბიურო „AM Georgia“
3. „რეალტორ ლეგალ ქონსალტინგი“ (Realtor Legal Consulting)
4. ძალადობის, წამებისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა რეაბილიტაციის საერთაშორისო ცენტრი „ემპათია“
5. აჭრის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო
6. ლეგალ ქონსალტინგ ცენტრი (Legal Consulting Center)
7. საკონსულტაციო კომპანია „ახვლედიანი ენდ ლო (Akhvlediani and Law)“
8. საადვოკატო ბიურო „იურიდიული მრჩეველი“
9. ბათუმის საქალაქო სასამართლო

კურიკულუმი	<input checked="" type="checkbox"/> თან ერთვის <input type="checkbox"/> არ ერთვის
სასწავლო კურსების აღწერილობები	<input checked="" type="checkbox"/> თან ერთვის <input type="checkbox"/> არ ერთვის
სასწავლო კურსების სილაბუსები	<input checked="" type="checkbox"/> თან ერთვის <input type="checkbox"/> არ ერთვის

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საკუთრებაში მყოფი მატერიალური და ტექნიკური რესურსი. კერძოდ, სტუდენტების და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა (მულტიმედია პროექტორი, კომპიუტერი, აუდიო-ვიდეო ტექნიკა და სხვა) და სასწავლო ინვენტარით (თეთრი დაფა, მერხი, სკამი).

უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული წიგნადი და ელექტრონული ფონდი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგის მიღწევას. ბიბლიოთეკის ელექტრონული და ნაბეჭდი რესურსით სარგებლობა შეუძლია უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს და აკადემიურ პერსონალს.

სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო

პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

ბიბლიოთეკა - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის (სულ 21524 ერთეული ბეჭდური და 10877 ერთეული ელექტრონული რესურსი). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკანები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური 1 ასლგადამღები აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის 2 თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით:

- EBSCO HOST
- ScienceDirect
- Scopus
- Sci-val Funding (Funding Institutional)
- HeinOnline
- Taylor and Francis
- Math Scientific Publishing (MSP)-Journals"

მატერიალური რესურსები:

კავკასიის უნივერსიტეტმა 2017-2018 სასწავლო წელს საგანმანათლებლო საქმიანობა განაგრძო მის კუთვნილ ახალ შენობაში, რომელიც მდებარეობს თბილისში, პაატა სააკაძის N1-ში. შენობის ჯამური ფართი შეადგენს 11.179 კვ.მ.-ს, საიდანაც 5.021 კვ.მ. არის სასწავლო ფართი. აღნიშნული შენობის სარემონტო სამუშაოებსა და ახალი ინვენტარით აღჭურვაში, ასევე, ეზოს გამწვანებასა და მოწყობაში განხორციელდა 12 მლნ ლარის ინვესტიცია. უნივერსიტეტის შენობაში გამოყოფილია შემდეგი სავალდებულო ფართები: 63 აუდიტორია, 170 კვ.მ.-მდე ფოიე, საკონფერენციო დარბაზი, სარეკრეაციო სივრცეები, ადმინისტრაციული სივრცეები, და სათავსოები, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა (265 კვ.მ.), ლაბორატორიები, არქივი, 2 კაფეტერია (380 კვ.მ.). აღნიშნული უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას. კავკასიის ბიზნესის სკოლას დამატებით აქვს სტარტაპ აქსელერატორისთვის გამოყოფილი ოთხები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე აღჭურვილობებით, როგორცაა: VR ტექნოლოგია, სამონტაჟო მოწყობილობები, „Smart board“ და სხვა.

უნივერსიტეტს აქვს ელექტროენერჯის მიწოდების ეფექტური სისტემა, შენობაში მოწყობილია გამოიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წლით და სათანადოდ მოწესრიგებულია. სანიტარულ კვანძებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და უზრუნველყოფილია მუდმივი განათებითა და ვენტილაციით. კავკასიის უნივერსიტეტის ტერიტორია ადაპტირებულია შშმ პირებისთვის (პანდუსები, ლიფტები და სხვა). ყველა სასწავლო ოთახს აქვს როგორც ბუნებრივი, ასევე, ხელოვნური განათების შესაძლებლობა. დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა, უნივერსიტეტის ტერიტორიას იცავს დაცვის სამსახური “მაგისტრი”, შიდა და გარე პერიმეტრზე უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებულია ვიდეოკამერები. შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - არსებობს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ლაბორატორია და კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. კომპიუტერები უზრუნველყოფილია შესაბამის პროგრამული ინსტრუმენტებით/აპლიკაციებით. აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელით და ინტერნეტით.

სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

კავკასიის უნივერსიტეტი სადღესოდ აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული საშუალებებით, ასლგადამღები აპარატურით (რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის განახლება მოხდა 2018 წელს). ამჟამად უნივერსიტეტში A , B და C სართულებზე გაშვებულია შვიდი კომპიუტერული კლასი. ასეთი კლასები პერსონალური კომპიუტერით და მულტიმედია პროექტორებით არის დაკომპლექტებული. ასეთი პროექტორებით და კომპიუტერებით აღჭურვილია ყველა აუდიტორია და ბიბლიოთეკა. ადმინისტრაცია და პრაქტიკულად ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია კომპიუტერებით და ინტერნეტთან წვდომით. უნივერსიტეტის საკომპიუტერო პარკი 380 ერთეულზე მეტს შეადგენს. ამას ემატება ორგტექნიკა პრინტერების და სკანერების სახით. რამდენიმე ე.წ. „Smart board“, სწრაფქმედი (მაღალი წარმადობის) „კიოსერას“ ფორმის ასლგადამღები აპარატები, აგრეთვე ფერადი ასლგადამღები დანადგარი „HP MFD“ - ტიპის. უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია WiFi, ასევე უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირი IP ტელეფონებით (რისთვისაც შეძენილია 130-ზე მეტი შესაბამისი ტელეფონი). უნივერსიტეტის სასერვეროში მოქმედებს ხუთი ერთეული თანამედროვე სერვერი, ხოლო მის ტერიტორიაზე დამონტაჟებულია შესაბამისი ქსელური აპარატურა („Cisco“-ს და „Aruba/HP“-ის სვიჩებით, Fortinet-ის NG Firewall-ით, wireless controller და access point-ებით, და ა.შ.), სულ 100-ზე მეტი ამგვარი მოწყობილობით. უნივერსიტეტი ჩართულია გარე ქსელში და აქვს ინტერნეტთან წვდომა 150/150 Mbps ლოკალისა და გლობალ კავშირებზე.

აღნიშნული რესურსი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

აღნიშნული რესურსი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სტუდენტებისგან მისაღებ შემოსავალს და სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯს. ფინანსური გათვლები ეყრდნობა პროგრამის მიხედვით აღებულ შემდეგ მონაცემებს:

- სწავლებისთვის საჭირო საკონტაქტო საათებს,
- სასწავლო კურსების რაოდენობას (ჩაშლილად სავალდებულო, არჩევითი, უცხო ენა),
- სალექციო საათების ანაზღაურებას,
- სწავლების პროცესში სტუდენტის მატერიალურ მხარდაჭერას,
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხარჯს,
- პროგრამის განვითარება/აკრედიტაცია/ინტერნაციონალიზაციის ხარჯს,
- პროგრამის მანძილზე დასაშვებ გაუთვალისწინებელი ხარჯს.

